

შპს „ნიკე 2009“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2023წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, გორის საგადასახადო ინსპექცია ხაშურის მუნიციპალიტეტი 13,02,2008წ ს/ნ 243916615 კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. ხაშური იმერეთის ქ. #143, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი ღონღაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი პ/ნ 57001006994. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თ უმასზე ნაკლებია, მინიმალურისა იჯაროგადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის

დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებაა მისი აღება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება და რიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებული ამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე

ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	59351.7	180612.9
ფული საბანკო ანგარიშებზე	100349.41	8419.4
სულ ჯამი	159701.11	189032.3

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები		
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 1	909507.4	945634.79
არარეზიდენტ. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8181.37	8042.69
მოთხოვნები გინეისის მიწოდებიდან	332447.2	288356.2
სულ ჯამი	1250136	1242033.68

7. მარაგები

მარაგების ნაშთები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 7		
მარაგები		
	31.12.2023	31.12.2022
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	2144891	2089627
სულ ჯამი	2144891	2089627

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2022	387678	489693	47933	42582	364760	185829	1518475
დამატება		174474	1420			14901	
გასვლა					280036		
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	387678	664167	49353	42582	84724	200730	1429234

ცვეთა

ბალანსი 01 იანვარი 2022		228331	42728	39540	71421	182718	564738
2023 წლის დარიცხული ცვეთა		58176	1293	3042	23168	324	86003
გასვლა					29897	649	
ბალანსი 31 დეკემბერი 2023		286507	44021	42582	18356	183043	574509

ნარჩენი
ღირებულება

01.იანვარი 2022	261362	5205	3042	293339	3108.97	566057
31 დეკემბერი 2023წ	377660	5332	0	66368	17687	467047

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სავაჭრო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მოფ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	506845.04	625399.73
არარეზიდენტი მომფ. და მომს. წარმოქმნილი	89268.79	12986.05

ვალდებულებები		
მშენებლოპის ავანსი	179380.92	148524.79
სულ ჯამი	775495	786911

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
	31.12.2023	31.12.2022
გადასახდელი ხელფასები	560879.61	484152.49
სულ ჯამი	560879.61	484152.49

11. სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	2125908.26	2270028.26
სულ ჯამი	2125908.26	2270028.26

12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები		
	31.12.2023	31.12.2022
სხვა ვალდებულებები	76402.14	46176.3
სულ ჯამი	76402.14	46176.3

13. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

შენიშვნა 13		
--------------------	--	--

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	31.12.2023	31.12.2022
მოგება/ ზარალი		
გაუნაწილებელი მოგება	1303652.03	1320045
დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
სულ ჯამი	1303652.03	1320045

14. საქონლიდან გაყიდვები

საქონლის გაყიდვიდან	31.12.2023	31.12.2022
საოპერაციო შემოსავლები	8284055.1	8491110.24
სულ ჯამი	8284055	8491110

15. რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება

შენიშვნა 15	31.12.2023	31.12.2022
რეალიზებული პროდუქციის თვითირებულება		
გაყიდვების თვითღირებულება	6 941 155	7345245
სულ ჯამი	6941155	7345245

16. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	31.12.2023	31.12.2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	7 468	35546.02
სულ ჯამი	7468	35546

17. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	360 570	323876.7

სულ ჯამი	360570	323877
----------	--------	--------

18. ცვეთა-ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია		
	31.12.2023	31.12.2022
ცვეთა და ამორტიზაცია	86002.87	63757.38
სულ ჯამი	86002.87	63757

19. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

საპროცენტო ხარჯი :		
	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო ხარჯები	282583.64	253660
სულ ჯამი	282584	253660

20. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი		
	31.12.2023	31.12.2022
საიჯარო ძირა	90000	91313.56
სულ ჯამი	90000	91314

21. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე სამსახურათმშენებელი რემონტის ხარჯი	73394.52	73577
სხვა საოპერაციო ხარჯები	7859.08	14833.38
სოციალური დანარიცხები	6717.51	1020.4
საოფისო ხარჯი	2273.18	6419.17
სამეურნეო ხარჯი	5322.1	1887.67
ტრანსპორტის დაზღვევა საერთაშორისო	573.84	3840.46
საწვავის ხარჯი	91145.69	85422.9

მიწვლინების ხარჯი	42446.41	64062.82
საქონლსუფთავების ხარჯები	6058.47	11868.64
სხვა საგადასახადო ხარჯი	8377.33	9711.48
ბანკის მომსახურების ხარჯი	26516.42	24149.87
სხვა საერთო ხარჯი	49082.45	76038.78
სულ ჯამი	319767	372833

22. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	31.12.2023	31.12.2022
დადებითი საკურსო სხვაობა	4452.46	7971
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-18026.09	-11532.96
სულ ჯამი	-13574	-3562

23. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	31.12.2023	31.12.2022
სსკ-თ გაფორმების ხარჯი	209723.69	1013
სულ ჯამი	209723.69	1013

24. სანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2024 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი ღონდაძე:



შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

ფინანსური მდგომარეობა 2023წ

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	159 701
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 250 136
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0	
მარაგები	7	2 144 891
- მზა პროდუქცია		
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	0	
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	0	
ძირითადი საშუალებები	8	1 287 608
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები		4 842 337
		4 907 313

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	9	775 495	786 911
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10	560 880	484 152
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	2 125 908	2 270 028
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	12	76 402	46 176
სულ ვალდებულებები		3 538 685	3 587 268

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (მას-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	13	1 303 652	1 320 045

გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	0		
სულ საკუთარი კაპიტალი		1 303 652	1 320 045
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4 842 337	4 907 313

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონლაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ.პაპუაშვილი

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2023წ

ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	14	8 284 055	8 491 110
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(6 941 155)	(7 345 245)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1 342 900	1 145 865

სხვა შემოსავალი	16	7 468	35 546
დასაქმებულთა ანაზღაურება	17	(360 570)	(323 877)
ცვეთა და ამორტიზაცია	18	(86 003)	(63 757)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	19	(282 584)	(253 660)
იჯარის ხარჯი	20	(90 000)	(91 314)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	21	(319 767)	(372 833)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 131 455)	(1 069 895)

საოპერაციო მოგება		211 444	75 971
-------------------	--	---------	--------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	22	(18 026)	(7 971)
მიღებული დივიდენდები			

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	23	(209 724)	(1 013)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(16 305)	66 987
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(16 305)	66 987

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(16 305)	66 987

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1 320 045	1 253 067
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(88)	(8)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 303 652	1 320 045

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონლაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი

შპს "ნიკე 2009" ს/ნ 243916615

საქმიანობის შედეგები 2023წ

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		541 153	568 904
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(570 484)	(491 936)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(29 331)	76 968
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		189 032	112 064
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		159 701	189 032

შპს "ნიკე 2009"-ის დირექტორი: გ. ლონლაძე

მთავარი ბუღალტერი: ნ. პაპუაშვილი